

899 962-1

ს-921

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სულაბერიძე მანია ირაკლის ასული

ლია სტურუას პოეზია

სპეციალბა 10.01.02 - ქართული ლიტერატურა

სადისერტაციო მაცნე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ის ი  
1 9 9 5



ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახე-  
ლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის  
ისტორიის კათედრაზე.

მეცნიერ-ხელმძღვანელი - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი რ. მიშველაძე

- ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი  
პროფ. დ. თევზაძე  
2. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი  
დოც. დ. კოტორაშვილი

დაცვა შედგება 1995 წლის "15" *თებერვალი*  
14.00 საათზე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმ-  
წიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ლიტერატურის  
დარგის სამეცნიერო საატესტაციო საბჭოს სხდომაზე P 10.01  
C № 10-3 (380028, თბილისი, ვავჟავაძის გამზირი № 1).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის ივანე ჯავახიშვი-  
ლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბი ბლიოთეკა-  
ში.

სადისერტაციო მაცნე დაგზავნილია 199 წ. " "

სპეციალიზებული საბჭოს სწავლული

მდივანი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

*ქ. ბაბიძე* ნ. ბაბიძე

თემის აქტუალობა. თანამედროვე პოეზია ასახავს იმ სიძნე-  
ლებს, რომლებშიც ჩვენ ვხვდებით ცხოვრებას. ახლის ძიება ყოველ-  
ვის დაკავშირებულია როგორც აზრის, ასევე ფორმის სიახლესთან.  
70-იანი წლების ქართული პოეზიისათვის სწორედ შემოქმედებითი ძიე-  
ბებია დამახასიათებელი. ქართული სალიტერატურო კრიტიკის წარმო-  
მადგენლები აღნიშნულ პერიოდს უკავშირებენ ქართულ პოეზიაში ვერ-  
ლიბრის დამკვიდრებას. სწორედ ვერლიბრი იქცა გამოსახვის ერთად-  
ერთ საშუალებად ასპარეზზე 70-იან წლებში გამოსულ პოეტთა ერთი  
რანჰისათვის, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ პოეტი ლია სტურუა.  
ღია სტურუამ რეალურ გარემოში დაფარული აზრის ძიება სწორედ  
თავისუფალი ლექსის საშუალებით მიიჩნია მიზანშეწონილად და შესაბ-  
ამად. ბუნებრივია, მასზე გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა  
ეპოქის ლიტერატურულმა ნორმებმაც. დაქუცმაცებულ, დისპარმონიულ  
სამყაროში უსაყრდენოდ დარჩენილი ადამიანის „სულიერ სიღრმეებში  
ფილოსოფიურ-ესიქოლოგიური წვლმა არის ღია სტურუას ვერლიბრის ამ-  
სავალი წერტილი. მისი შემოქმედება მუდმივ ძიებასთან არის დაკავ-  
შირებული. მისი ორიგინალური აზროვნება, სამყაროს მისებური განც-  
და, მხატვრული ხედვა, უპირველესად, ეროვნული ტრადიციებიდან  
მომდინარეობს. პოეტი ვერ დაიმორჩილა ვერავითარმა უცხოურმა. უფრო  
მეტყვე; მან თავად მოაქცია საკუთარ სულში უცხოური ნაკადი, გარდა-  
ქმნა, განაახლა და ახლებურად ააღორძინა თვითმყოფალი საწყისები.  
პოეტის ხედვის მანერაში, განცდათა ორგინალობასა და მისეულ ინტერ-  
პრეტაციებში საკმაოდ დიდია თავისუფლების ხარისხის რიცხვი. პოე-  
ტის "მე" ცხოვრობს მრავლობით "ჩვენში". გარემო განსაზღვრავს  
ადამიანთა საქციელის და გრძნობების ყველაზე ზოგად ჩარჩოებს,  
ამიტომაც გარშემომყოფებთან სასურველი ურთიერთობის დასამყარებლად  
საჭიროა ამ ურთიერთობათა, კონტაქტების მექანიზმის ცოდნაც. ხაზგა-